ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 146

"30" ივნისი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 66 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.033.936) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის" (ს/ნ: 204909180) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 66 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.033.936) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის" (ს/ნ: 204909180) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 23 ივნისის №20.646.816 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 66 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.033.936) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის" (ს/ნ: 204909180) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 15 840 (თხუთმეტი ათას რვაას ორმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**